პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 21 (2014) 2 ივნისი, შაბათი. 1984 წ. ფასი 2 კაპ.

## სტრიქონები ბრძანებებიდან

**საშიში** დანაშაულის გახსნაში აქტიური მონაწილეობისათვის, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ:

**სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი**
**ხაბაშვილი გ. ი.**

**სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი**
**ლავრენტაშვილი ნ. დ.**

განსაკუთრებით საშიში დამნაშავის დაკავებისას გამოჩენილი სიმამაცისათვის, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა:

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომეურნეობის მძღოლი, მილიციის სერჟანტი**
**კირაკოსიანი ე. ლ.**

შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდნენ:

**ვორონოვა თ. ა. — საფინანსო ნაწილის უფროსი.**
**მდინარაძე ნ. ლ. — ელექტრომექანიკოსი.**

## НАГРАЖДЕНИЯ

**За долголетний добросовестный труд и в связи с 60-летием со дня рождения награждены ценным подарком**
**— Лекборашвили Русудан Александровна — полковник в/с;**
**Почетной грамотой МВД ГССР**
**— Чхиквишвили Вахтанг Семенович — начальник ХОЗУ МВД ГССР, полковник в/с.**
**Медалью «Отличный пропагандист» награжден**
**— Сидамонидзе Теймураз Вахтангович — заместитель начальника СУ МВД ГССР, майор милиции.**

## ДОБРАЯ ТРАДИЦИЯ

Вот уже несколько лет в ФПО МВД Грузинской ССР существует добрая традиция: в конце каждого учебного года по поручению партийной организации активом отдела проверяется академическая успеваемость и дисциплина детей наших сотрудников.

В школах мы встречаемся с классными руководителями, педагогами, интересуемся не только успеваемостью и дисциплиной наших школьников, но и тем, как они выполняют общественные поручения, какое участие принимают в общешкольных мероприятиях.

И опять по традиции в конце этого учебного года были проверены в школах наши ученики. Отрадно отметить, что из 15 учеников трое учатся на отлично, а остальные — на четыре и на пять. Посредственных учащихся у нас нет.

Гия Богверадзе — победитель городской спартакиады юных математиков, Света Абрамян — победительница конкурса бальных танцев... Много хорошего можно сказать и про Майю и Лию Саралидзе, Дато Богверадзе, Наташу и Игоря Душевиных, Юру Некрасова, Диану Казарову, Кетино Цуцкиридзе, Альберта Абрамян, Мамуку Нацэлишвили.

Решением нашей партийной и профсоюзной организаций за хорошую учебу и примерное поведение дети будут награждены памятными подарками.

Воспитание детей — долг и обязанность каждого гражданина, каждого советского человека. И от того, какими мы вырастим своих детей, зависит будущее нашего общества.

**Н. БРЕГВАДЗЕ,**
**секретарь первичной парторганизации ФПО МВД ГССР, старший лейтенант в/с.**

**НА СНИМКЕ:** во время вручения подарков.
Фото А. Гоголадзе.



## იცნობდეთ, მოწინავეა



**წყნარი,** თავმდაბალი, ჭკვიანი, შრომისმოყვარე — ასე ახასიათებენ თანამშრომლები საქართველოს სსრ შს სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს, მილიციის კაპიტან ბორის მუქურის ძე ჯაყელს.

1976 წელს ნიჭიერი ინჟინერ-ტექნიკოსი საკავშირო ახალგაზრდული შემოქმედების სამეცნიერო-ტექნიკური კონკურსის ლაურეატი გახდა.

რესპუბლიკის რამოდენიმე რაიონში ფუნქციონირებს ბორისის მიერ დანერგილი ცენტრალური დაცვის სისტემის დანადგარები.

ბორისი დაჯილდოებულია მედლით „უმწიკვლო სამსახურისათვის“.

ამჟამად ბორისის სახელი ფართო აუდიტორიისათვის გახდა ცნობილი — მის მიერ პირველად ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გამოშვებულ იქნა უახლესი ტექნიკური სისტემა „კომეტა“, რომელიც გათვალისწინებულია მოქალაქეთა ბინების დაცვისათვის.

იმედია, გამომგონებლური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა მრავალ სიახლეს შეიტანს რესპუბლიკის შს სამინისტროს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

## წესრიგის დაცვა — ჩვენი უპირველესი საზრუნავია

**გ. ბიჭაშვილი,**
შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი, საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი.

**წლის** დასაწყისში რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ რეგულარულად ტარდება კომპლექსური ღონისძიებები საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სპორტულ და მასობრივ სანახაობათა გასამართ ობიექტებზე. სეზონის წინ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სპორტული ორგანიზაციების მიერ მოწმდება სტადიონების მზადყოფნა სეზონისათვის. ისევე როგორც გასულ წელს, ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს და ლანჩხუთის რაიგანყოფილებას კვლავ გაუწევენ პრაქტიკულ დახმარებას ახლომდებარე შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებები.

მიუხედავად რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისა, წლების განმავლობაში ვერ დავამყარეთ სათანადო წესრიგი საქართველოს საფეხბურთო პირველობის მატჩებზე.

შინაგან საქმეთა ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი პრინციპულად არ სვამს საკითხს, სპორტული სეზონისათვის ობიექტების მზადებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და იმ სპორტულ ნაგებობათა ფუნქციონირების აკრძალვისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნებს. ზოგიერთმა შინაგან საქმეთა განყოფილებამ მიმდინარე წლის სპორტული სეზონის წინ, ინფორმაცია ობიექტების შემოწმების შესახებ დაგვიანებით და უხარისხოდ წარმოადგინა; ხოლო აბაშის (უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი გ. ჩიტაია), ცაგერის (უფროსი, მილიციის მაიორი გ. კეშელაშვილი), ზესტაფონის (უფროსი, მილიციის კაპიტანი ნ. ჯაფარიძე), წალენჯიხის (უფროსი, მილიციის მაიორი ს. ჯოჯუა), წითელწყაროს (უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ე. ჯანყარაშვილი) შს განყოფილებებმა არავითარი ინფორმაცია არ წარმოადგინეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოში; უფრო ხშირად კი ისინი კმაყოფილდებიან სიტყვიერი შეტყობინებით მასობრივ ღონისძიებათა პროგრამისა და გეგმის წარმოდგენის გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ შს საქალაქო და რაიონული განყოფილებების უფროსები საფეხბურთო მატჩებისა და სხვა მასობრივ ღონისძიებათა წინ, არ ატარებენ ეფექტურ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსახლეობას შორის; ძალზე უმნიშვნელოა სახალხო რაზმელთა როლი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. ბევრს ავიწყდება სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების შემდეგ 5 დღის განმავლობაში ინფორმაციის გაგზავნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოში.

შს განყოფილებათა უფროსები არ ეწევიან მოსალოდნელ სამართალდარღვევათა პროგნოზირებას და სათანადო ღონისძიებათა გატარებისათვის მზადებას.

დაკისრებული საქმისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საქართველოს პირველობის მატჩებში ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევის ფაქტებს.

სეზონის პირველ მატჩში, გორის რაიონის „ქართლსა“ და საჩხერის „ჩიხურას“ შორის, რომელიც ტექნიკუმის სტადიონზე გაიმართა, მოხდა უწესრიგობანი, მაგრამ მილიციის მუშაკები და სახალხო რაზმელები არსად ჩანდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ სტადიონს ტრიბუნები არა აქვს, მაყურებლებიც თავიანთი სურვილისამებრ დგებიან კარს უკან, გვერდითი ხაზების გასწვრივ, ეს კი არანორმალურ პირობებს უქმნის მოთამაშეებსა და მსაჯებს. მსგავსი შემთხვევები სხვა მოედნებზეც გვხვდება, რაშიც პირველ რიგში ბრალი მიუძღვით მილიციის მუშაკებს. ლაგოდეხის „მერეთისა“ და რუსთავის „მეტალურგის“ მატჩსაც არ ესწრებოდნენ მილიციის მუშაკები, რითაც ადგილობრივმა „გულშემატკივრებმა“ ისარგებლეს კიდეც, მოედანზე გადავიდნენ და ცდილობდნენ მსაჯებს თავისებურად გასწორებოდნენ. რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს ოპერატიული ზომებისათვის რომ არ მიემართათ, ძნელი სათქმელია როგორ დამთავრდებოდა ეს ინციდენტი. საოცარია, მაგრამ გორისა და ლაგოდეხის რაიგანყოფილებათა უფროსებმა მილიციის მაიორებმა ზ. შერგელაშვილმა და ვ. ტურაშვილმა არც კი იცოდნენ, რომ ტარდებოდა აღნიშნული მატჩები.

მსგავსი შემთხვევა მოხდა ვანშიც (შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი რ. შველიძე) ადგილობრივი „სულორისა“ და მაიაკოვსკის „საირმის“ შეხვედრისას. მილიციის მუშაკებმა მართალია წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ წინასწარ გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში შეიძლებოდა თავიდან აეცილებინათ სამართალდარღვევები. თიანეთის სტადიონზე (შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი დ. როხვაძე) ადგილობრივი „იორისა“ და მარნეულის „ალგეთის“ შეხვედრისას მილიციის მუშაკებმა ვერ უზრუნველყვეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ინციდენტების შესახებ შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა არ აცნობეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ჩვენ ხშირად ვსაყვედურობთ რაიონების შს განყოფილებათა ხელმძღვანელებს იმისათვის, რომ სტადიონებზე არაა წესრიგი, ხშირ შემთხვევაში თამაშს არ ესწრებიან მილიციის მუშაკები და რაზმელები; მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ თბილისში, „სინათლის“ სტადიონზე ჩატარებული მატჩისას „ავტომობილისტსა“ და რუსთავის „მეტალურგს“ შორის, ერთი წესრიგის დამცველიც არ ჩანდა, რამაც ხელი შეუშალა მატჩის ნორმალურად წარმართვას.

საფეხბურთო სეზონი გრძელდება. წინაა სახალხო დღესასწაულები და სხვა მასობრივი ღონისძიებანი. ყოველი ჩვენთაგანის ვალია ყველგან და ყველაფერში გამოვიჩინოთ ქცევის მაღალი კულტურა, ქართული სტუმართმასპინძლობის საუკეთესო ტრადიციები. სტადიონებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებათა ობიექტებზე წესრიგის დასამყარებლად მილიციის მუშაკებთან და სახალხო რაზმელებთან ერთად უნდა დაირაზმოს ადგილობრივი სპორტკომიტეტები, სტადიონების დირექცია, ფეხბურთის მოყვარულები. თითოეულმა გულშემატკივარმა უნდა გამოიჩინოს დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, კეთილგანწყობა მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეებისა და მსაჯებისადმი, რათა საქართველოს პირველობის მატჩები ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად იქცეს; მასობრივ ღონისძიებებზე სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა თვითეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავია.

ახლახან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში განიხილეს რესპუბლიკის სტადიონებზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები. შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიაზე დაისახა ღონისძიებანი აღნიშნულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად. მიეთითათ შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა ხელმძღვანელებს, რომლებმაც სპორტულ და სხვა მასობრივ ღონისძიებებზე ვერ უზრუნველყვეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

# ლენინი ორატორი

[illegible]



НА СНИМКЕ: сотрудники милиции в музее В. И. Ленина.

# დისციპლინა — წინსვლის ბერკეტი

[illegible]

თ. ლომსაძე,
შ/ს უმცროსი ლეიტენანტი

# მოზარდი და ზაფხული

[illegible]

ნ. ოტიაშვილი.

# «КОМУ СВЕТЯТ»...

**Под таким заголовком в нашей газете № 11 от 26 марта 1984 года была опубликована статья, в которой говорилось о проблемах организации дорожного движения в городе.**

**Редакция получила много писем. Одно из них мы публикуем ниже.**

Вопросы, затронутые в статье, актуальны и требуют скорейшего их решения. Надо согласиться с автором, что в организации дорожного движения столицы нашей республики много нерешенных проблем. Приведенные в статье примеры затрагивают различные аспекты дорожного движения и правильно иллюстрируют имеющиеся недостатки.

Особое нарекание у нас вызывают светофоры. Они не только работают круглосуточно, а значит, в определенной мере, вхолостую, но зачастую светятся всеми цветами одновременно, как бы предоставляя водителю право решения — двигаться ему или стоять. В абсолютном большинстве они работают несогласованно друг с другом, поэтому прохождение небольших участков дороги, но насыщенных светофорами, связано с постоянным торможением и, как результат, с ухудшением пропускной способности транспортных развязок и даже целых улиц.

Правильная расстановка в городе светофоров и выбор рациональных режимов их работы непосредственно связаны с безопасностью дорожного движения. Это в полной мере относится и к установке знаков регулирования дорожного движения. Из экспертной практики мне известны случаи, когда неудачно установленные знаки в значительной степени являлись причиной дорожно-транспортных происшествий.

В статье поднят важный вопрос ограничения действия запрещающих и предписывающих знаков в течение суток. Нам кажется целесообразным некоторые запреты не в «пиковые» часы снять. Например, разрешить движение по улице Ленина от площади Героев до филармонии в определенное время суток. Тоже самое сделать в ряде других мест.

И еще одна проблема, решение которой в немалой степени зависит от инициативности и принципиальности ГАИ.

Наш город изобилует открытыми или глубоко врытыми в землю люками, выбоинами. Зачастую водители, с опозданием заметившие их, предпринимают резкие маневры в сторону и становятся виновниками дорожно-транспортных происшествий.

Госавтоинспекции следует усилить контроль над состоянием дорог, принимать меры к скорейшей ликвидации возникающих неисправностей.

Хотелось бы иметь в нашем городе четко продуманную, научно-обоснованную организацию движения транспорта.

**Т. ЦХАКАЯ,**
**старший следователь СО УВД Тбилгорисполкома, майор милиции.**

• • •

**ОТ РЕДАКЦИИ:**

В № 16 от 28 апреля мы опубликовали ответ ГАИ УВД г. Тбилиси, где, в частности, отметили, что мнение редакции об изменении схемы движения на светофорном перекрестке правой набережной и ул. Горгасали было признано неправильным.

Однако, спустя месяц после этого, мы воочию убедились, что ныне движение на указанном перекрестке организовано так, как ранее мы предлагали, т. е. транспортные средства с правой набережной могут совершать поворот направо, в сторону улицы Леселидзе.

Мы благодарим госавтоинспекцию за то, что наше предложение все-таки принято и обращаемся с просьбой в будущем при подготовке ответов в редакцию делать это более тщательно, продуманно.

**И еще у нас вопрос к ГАИ г. Тбилиси. Мы хотели бы узнать, какую роль играет знак «Движение запрещено», установленный в нижней части ул. Ленина, если под него беспрепятственно движутся все транспортные средства. Может быть и сегодня кто-то его трактует, как «Сквозное движение запрещено», забыв, что с 1 января 1973 года такого понятия не существует.**



[illegible]

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ჩვენი გამოსვლის შემდეგ

[illegible]

Можно лишь только догадываться, что испытывает человек, ставший однажды объектом прицельной стрельбы своего, не в меру мстительного, соседа. Наверное, это страх, ужас, боль... Но вновь и вновь звучат выстрелы. И тогда к этим чувствам прибавляется ощущение безысходности, паника.

Но начнем по порядку. Когда-то в прошлом колхозный плотник, житель села Руиси Карельского района, Омар Балиашвили, по кличке «Боха», решил попробовать себя на поприще спекуляции сельхозпродуктами. 14 тонн лука, приобретенного с целью спекуляции, вышли ему боком и народный суд района определил ему меру наказания в три с половиной года лишения свободы. Недолго пребывал он в исправительно-трудовой колонии — лишение свободы заменили на условное, с обязательным привлечением к труду. Следующим его пристанищем стала спецкомендатура.

Быть может в это время, а возможно и раньше, у него возникла мысль разделаться со своими обидчиками. Первым «Боха» в свой «черный» список включил соседа и однофамильца Самсона Балиашвили, которого считал виновником неудавшейся спекулятивной авантюры.

«Вендетта по — карельски» началась 14 июля 1977 года. Покинувший тайком спецкомендатуру, Балиашвили пробрался в свое село и, примерно, в два часа ночи, с целью убийства произвел выстрел из пистолета в спавшего на балконе своего дома Самсона Балиашвили. К счастью, «Боха» оказался неважным стрелком и Самсон отделался испугом и легкими телесными повреждениями.

Наверное, неудавшаяся попытка мести не давала покоя Омару Балиашвили и он продолжил вендетту, произведя с апреля 1978 года по октябрь 1979 года в Самсона Балиашвили... 20 выстрелов. Стрельба велась из оружия трех калибров. Для мирного времени Омар Балиашвили располагал весьма солидным арсеналом стрелкового оружия. Запас боеприпасов тоже был приличным. Ничто (даже милиция) не мешало ему предаваться новому опасному увлечению.

Но вот, 8 октября 1979 года, два из упомянутых двадцати выстрелов нашли свою цель и Самсон Балиашвили, говоря языком судмедэкспертизы, получил менее тяжкие телесные повреждения.

Видимо, несколько разочаровавшись в своих способностях стрелка, «Боха» решил попробовать себя в роли вымогателя денег. Письмо с требованием выплаты десяти тысяч рублей и угрозами убийства было отправлено Самсону Балиашвили в том же октябре 1979 года. Но того уже не просто было напугать — полтора года жизни под обстрелом что-то да значили! Ответа не последовало...

«Боха» не мог успокоиться. Изощренное в коварстве сознание, поощряемое безнаказанностью, придумало новую месть. Темной декабрьской ночью прокрался он к дому своего соседа, открыл окно, плеснул в комнату солярку и бросил туда горящую перчатку.

Как позже зафиксирует суд, «по независящим от него обстоятельствам» дом не сгорел.

Такие неудачи кого хочешь могли сбить с толку, но не таков был Омар Балиашвили, новоявленный мафиозо, чтобы так вот, в раз, отказаться от задуманного. Пришлось только ненадолго затаиться и предаться размышлениям. В период затишья пришли новые мысли. Вернее, мысли остались старыми, новыми оказались... А, впрочем, по порядку.

8 мая 1981 года старший оперуполномоченный БХСС Карельского РОВД З. Цавелидзе получил анонимное письмо, составленное в непечатных выражениях, в котором неизвестный предлагал выплатить тридцать тысяч рублей. Последствия невыполнения требования обещали быть весьма серьезными для жизни и здоровья З. Цавелидзе и его близких.

Как и полагалось в таком случае, З. Цавелидзе доложил руководству о полученном им письме и тогда было принято решение затеять переписку с вымогателем, попытаться разоблачить его. Видимо, аноним разгадал намерения противной стороны и тогда, 1 июня 1981 года, ночью раздались три выстрела в дом Цавелидзе. 6 июня еще один выстрел. Наконец, обстрел прекратился, зато активизировалась переписка. Письма не отличались особой оригинальностью — те же далекие от пристойности выражения и требования денег — вот их суть.

К ноябрю 1981 года терпение у вымогателя иссякло и он отказался от затеи получить деньги от Цавелидзе. Однако идее подзаработать деньги путем вымогательства он не изменил. Сменил лишь объект.

12 ноября 1982 года ночью, в селе Плави Горийского района, раздались выстрелы. В результате — 5 ружейных пуль в двери дома пожилой Елизаветы Дапквиашвили. Чем же уважаемая женщина, не сделавшая в жизни ничего плохого, могла насолить ночному снайперу? Вся ее вина, как позже выяснилось, оказалась в том, что она состояла в родстве с начальником МРЭО Горийского ГОВД И. Хабелашвили. Выстрелами в тещин дом, неизвестный демонстрировал всю серьезность своих намерений. А намерен он был получить от И. Хабелашвили ни много ни мало — пятьдесят тысяч рублей. Именно об этом говорилось в лишенном всякой изящности письме, вскоре полученном Хабелашвили.

И опять все закрутилось как в случае с Цавелидзе. Но неизвестный вымогатель так и оставался неизвестным.

# ВЫСТРЕЛЫ В НОЧИ

**РАЗДАВАЛИСЬ В ТЕЧЕНИЕ НЕСКОЛЬКИХ ЛЕТ, УГРОЖАЯ ЖИЗНИ ЛЮДЕЙ. И, ВОЗМОЖНО, ЗВУЧАЛИ БЫ ЕЩЕ, ЕСЛИ БЫ ОДНИМ ИЗ НИХ НЕ ОКАЗАЛСЯ УБИТ ЧЕЛОВЕК...**

Не надо обладать большой проницательностью, чтобы догадаться, что все описанные выше выстрелы были произведены одним и тем же лицом — Омаром Балиашвили.

Но неправильно было бы думать, что заряжая в очередной раз пистолет, или ружье, он руководствовался исключительно лишь корыстными побуждениями.

Некоторое время тому назад житель села Руиси А. Гигашвили убил некоего К. Мумладзе — вора в «законе», которого Омар Балиашвили считал своим другом. И вот «Боха» решил отомстить за убиенного. За короткий промежуток времени он несколько раз стрелял в дом Гигашвили. И не удивительно, что тому надоело быть предметом такого внимания.

3 октября 1981 года, когда раздались очередные выстрелы в его дом, Гигашвили на своей автомашине отправился на розыски преследователя. Тем временем, неподалеку проезжала машина, управляемая Доментием Гвиниашвили, которую затаившийся в засаде Балиашвили по ошибке обстрелял. В результате этого Доментий и Марика Гвиниашвили получили ранения, к счастью, не опасные для жизни.

Трудно сказать, как долго некоторые села оставались бы стрелковым полигоном, а их жители живыми мишенями. Но наступила развязка.

26 февраля 1983 года Омари Балиашвили, вооружившись ружьем, вместе со своими дружками проник на территорию склада совхоза села Бебниси, откуда пытался похитить саженцы фруктовых деревьев. Действия похитителей стали заметны совхозному сторожу Д. Бузиашвили и он окликнул их. В ответ прозвучали выстрелы. Один из них для сторожа оказался смертельным.

Совершив непоправимое, Омар Балиашвили бежал с места преступления в надежде и на сей раз остаться в тени. Десять дней ему это удавалось, но наконец, 9 марта он оказался там, где давно уже должен был быть — под стражей.

Понемногу, по крупицам стала вырисовываться истинная картина беспутной и злобной жизни человека, причинившего много горя не одному десятку людей, поставившего себя вне закона.

Закон, столь долго незамечаемый и столь глубоко презираемый им, в конце концов, в полной мере дал о себе знать. Приговор суда, не оставивший ему места в будущем, был справедлив — исключительная мера наказания — расстрел.

Такой оказалась расплата.

**Наверное, внимательный читатель заметил, что последний выстрел, прогремевший в феврале 1983 года, от первого отделяло пять с половиной лет. Годы и годы безнаказанно творимых преступных деяний. Сотня, а то и более выстрелов, направленных в людей. Десятки эпизодов, каждый из которых содержал в себе состав преступления.**

**Да, мы знаем, сколь беспощаден и изворотлив был преступник. Но не мог бы он чувствовать себя так вольготно, если бы некоторые сотрудники Карельского РОВД оказались на высоте своего положения, принимали бы во всех случаях законные решения.**

**Вспомним первый выстрел в Самсона Балиашвили, когда он был легко ранен. Логика подсказывает, что по этому факту должно было быть возбуждено уголовное дело, но вместо этого оперуполномоченный уголовного розыска, старший лейтенант милиции Т. Мазмишвили выносит постановление об отказе в возбуждении уголовного дела. Шито белыми нитками, однако кое-кого в РОВД это устраивало. Через некоторое время последовала серия выстрелов, но работники РОВД остались глухи к ним. Неправильно было бы думать, что они не пытались найти преступника. Что-то в этом направлении, наверняка, делалось. Но ведь закон требует, чтобы розыск и изобличение виновных происходили в рамках предварительного расследования. Только при этих условиях возможна эффективная работа по раскрытию преступлений. Возбуждались же уголовные дела в Карельском РОВД лишь от случая к случаю, когда иначе поступать было просто невозможно. Например, когда в результате огнестрельного ранения в октябре 1979 года Самсону Балиашвили были причинены менее тяжкие телесные повреждения. Или же в случае, когда Омар Балиашвили выстрелом из оружия ранил Доментия и Марику Гвиниашвили. Но и в этом случае следователи в своем решении были далеко не безупречны, квалифицировав факт более мягкой статьей уголовного кодекса.**

**Омар Балиашвили в течение длительного времени нигде не работал, а оборудовав в доме столярную мастерскую, подрабатывал частным образом.**

**Если бы в Карельском РОВД всерьез заинтересовались его образом жизни, то, наверняка, встал бы вопрос приобщения его к общественно полезному труду. Кто знает, окажись Балиашвили в рабочей среде, как бы дальше разворачивались события? Или же дали правильную оценку его паразитического существования — привлекли бы к уголовной ответственности за тунеядство.**

**Увы, ничего этого сделано не было... Мимо внимания участковых инспекторов прошло и то, что Балиашвили невесть где приобрел краденные металлические трубы, да еще в таком количестве, что впоследствии для их вывоза понадобилось два дня работы пятнадцати человек.**

**Не скоро забудется эта история в селе Руиси Карельского района, но никогда она не должна быть забыта теми, кто в свое время мог предотвратить ее трагический исход.**

**С. ГАЛСТЯН,**
**лейтенант милиции,**
**наш спец. корр.**
Тбилиси — Карели.

Коллегия МВД ГССР, рассмотрев вопрос ненадлежащего исполнения своих служебных обязанностей некоторыми работниками Карельского РОВД, строго наказала их. Коллегия приняла во внимание, что большая часть преступлений была совершена до назначения капитана милиции М. Маргишвили на должность начальника РОВД и в отношении его ограничилась строгим предупреждением. Было учтено, что заместитель начальника РОВД майор милиции Р. Эргемлидзе принял личное участие в раскрытии убийства. Он также предупрежден.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ

**თელავი**

**მიმდინარე** წლის იანვარში თელავის შს რაიგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დ. შავიშვილის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა.

დ. შავიშვილი ცხოვრობდა ქ. თელავში, ლესელიძის ქ. № 9-ში, დედასთან ჩაუწერავად, თავს არიდებდა სასარგებლო შრომას, ეწეოდა პარაზიტულ ცხოვრებას.

გასული წლის ნოემბერში დ. შავიშვილი შეიპარა ქ. თელავის რაისაავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში და მოიპარა ტყავის პალტო.

ბოროტმოქმედმა მოპარული ტყავის პალტო ქ. სამტრედიაში წაიღო და 300 მანეთად გაყიდა.

თელავის შს რაიგანყოფილების მილიციის მუშაკების მიერ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად ქურდი მალე იქნა დაკავებული.

თელავის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა დ. შავიშვილის სისხლის სამართლის საქმე და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ფოთი**

**მიმდინარე** წლის მარტში ფოთის შს საქალაქო განყოფილების რიგითმა მილიციელებმა ბ. ბარამიამ და ვ. ადამიამ, ღამით, მორიგეობის დროს შეამჩნიეს გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული“. საგუშაგოზე მდგარმა მილიციელებმა საეჭვოდ მიიჩნიეს ავტომანქანაში მსხდომი პირები, გააჩერეს შემხვედრი ავტომანქანა და გამოედევნენ სწრაფად მიმავალ „ჟიგულს“.

ხობის რაიონის სოფელ ყულევში მილიციელებმა ბ. ბარამიამ და ვ. ადამიამ. დააკავეს აღნიშნული ავტომანქანა.

როგორც შემდეგ გაირკვა ავტომანქანა აღმოჩნდა გატაცებული, მანქანის გამტაცებლებს — შ. შონიას, რ. ლურჯიასა და ჯ. კაკაჩიას იგი მოეპარათ ქ. ფოთში მცხოვრებ მ. ხოფერიასათვის, ლენინის ქ. № 46-ის ეზოდან.

ფხიზელმა მილიციის მუშაკებმა: ბ. ბარამიამ და ვ. ადამიამ ხელმძღვანელობისაგან მადლობა დაიმსახურეს.

**შერლოკ ჰოლმსის კლუბი**

## მევახშე

— მე არნოლდ პრანცის ბინიდან ვრეკავ. — უთხრა ტელეფონში სერჟანტმა ფოქსმა ინსპექტორ ვერნერს. — პრანცი მკვდარია... დავაკავე პიროვნება, რომელიც პრანცის ბინიდან გამოვარდა ჩემი იქ მისვლის დროს. მან მითხრა, რომ ჩემზე ცოტა ხნით ადრე შევიდა იქ, კარები ღია იყო, კაბინეტს მიაშურა და პრანცის გვამი დახვდა იატაკზე.

ინსპექტორი შემთხვევის ადგილისაკენ გაემართა. მისამართი უკვე იცოდა, რადგან პრანცით ბოლო დროს დაინტერესებული იყო პოლიცია, რომელმაც ინფორმაცია მიიღო, თითქოს პრანცი მევახშეობას და სხვა საეჭვო საქმიანობას ეწეოდა. სწორედ ამიტომ გაუგზავნა ინსპექტორმა იმ დღეს პრანცთან სერჟანტი ფოქსი.

ფოქსის მიერ დაკავებული პირი იყო ვინმე კლაპერი. ის იფიცებოდა — უდანაშაულო ვარო. სერჟანტმა ვერნერს უჩვენა პატარა ფურცელი პრანცის ბლოკნოტიდან, რომელზედაც იმავე დღეს იყო გაკეთებული აღნიშვნები: „9 სთ. — სანტელი 10000; 10 სთ. — ფურდინი 6000; 11სთ. — კლაპერი 800“.

— უნდა მოძებნოთ და მოიყვანოთ სანტელი და ფურდინი, — ბრძანა ინსპექტორმა, ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულეს.

— მართალია მე ვიყავი აქ ნაჩვენებ დროს პრანცთან, — თქვა ფურდინმა, მაგრამ ვერ შევთანხმდით, რადგან მან გასაოცარი პროცენტი მომთხოვა, ამიტომ კარი გამოვიხურე და წავედი. რა თქმა უნდა, მე ის სრულიად ჯანმრთელი დავტოვე.

— მე იძულებული ვიყავი პრანცის მოთხოვნას დავყოლოდი...—თქვა სანტელმა, — ინებეთ, აი ეს ფული, ხელიც არ მიხლია, (ამ სიტყვებზე მან წარმოადგინა ასიგნაციების შეკვრა).

ყოველივე ამის შემდეგ, სერჟანტმა ფოქსმა გვერდზე გაიხმო ინსპექტორი ვერნერი და ჩასჩურჩულა:

— ბნელი საქმეა, ეშმაკიც ვერ გაიგებს რომელია მკვლელი.

— პირიქით, ძალიან ადვილი მოსახვედრია, — უპასუხა ინსპექტორმა.

თქვენ რას ფიქრობთ მკითხველო?

• • •

იმ მკითხველთა გვარები, რომლებიც სწორ პასუხს გამოგზავნიან, დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

**СПОРТ СПОРТ СПОРТ**

# ПРАЗДНИК СПОРТА В ДМАНИСИ

О пользе занятия физической культурой и спортом говорится и пишется много. С этим согласны все и противоположных мнений както не высказывается. Однако, зачастую, дальше слов дело не идет.

Побывав на днях в Дманиси, мы убедились, что уже давно сотрудникам РОВД такая агитация не нужна. Но по порядку.

Примерно две недели тому назад начальник Дманисского РОВД, майор милиции М. Майсурадзе связался по телефону со своими коллегами из близлежащих районов и г. Степанавана и пригласил их вместе с личным составом в Дманиси принять участие в соревнованиях.

На призыв откликнулись Болнисский, Тетрацкаройский и Степанаванский РОВД.

...В то воскресное утро непривычно многолюдно было перед Дманисским РОВД. Непосвященным было не понять, что делают люди в спортивной форме около милиции. Вскоре, уже примерно 100 человек — спортсменов и болельщиков — собралось вместе. А через полчаса вся эта масса энтузиастов спорта переместилась на спортивно - оздоровительный комплекс Дманисского РОВД, расположенный неподалеку от райотдела, в живописном ущелье на берегу бурной реки Машавера. У человека, впервые оказавшегося там, вызывает удивление, что в горной местности, куда затруднен подъезд автомашин, возможно было что-то построить.

...Но начались соревнования и на огневой рубеж вышли представители Болнисского РОВД. Через час пришла очередь дманисцев. И тут вновь настала пора удивляться. Практически каждый из восьми выстрелов, предусмотренных программой, достигал цели. На лицах многих присутствующих было написано удивление, чувствовалось, что и им хотелось бы владеть личным оружием так, как это делали сотрудники Дманисского РОВД. И логично, что победителем соревнования по стрельбе из пистолета «Макарова» вышел их руководитель, майор милиции М. Майсурадзе. Из возможных 80 очков он набрал 73. Такой же результат показал и рядовой милиции Г. Кавлелашвили, но, выбив меньше «десяток», первое место уступил своему начальнику.

Третьим с 72-я очками стал участковый инспектор Дманисского РОВД, капитан милиции Р. Ниниашвили.

После стрельбы спортсменам предстояло подтягивание на перекладине. И здесь сильнейшей оказалась первая команда Дманисского РОВД, на второе место вышли спортсмены Тетрицкаройского РОВД.

Следующим видом в программе многоборья был эстафетный бег 4Х100 метров. Лучшими вновь оказались дманисцы, но верх взяла уже вторая команда.

Программа многоборья завершилась кроссом на 3 километра. Перед его началом заместитель начальника Дманисского РОВД, майор милиции Г. Гаджиев высказал свое недовольство тем, что дистанция забега столь мала. Ему, сорокасемилетнему, хотелось бы пробежать 10—12 километров, что кстати он делает ежедневно. Стартовав с 29-ю участниками, Г. Гаджиев на финише оставил за собой добрую половину бегунов. А победителями в кроссе вышли гости — команда Тетрицкаройского РОВД и в личном зачете представитель Степанаванского РОВД Г. Малхасян.

Как и следовало ожидать, в сумме многоборья первое и второе места завоевали команды Дманисского РОВД. На третье место вышли спортсмены Тетрицкаройского РОВД.

После подведения итогов мы задали несколько вопросов главному судье соревнований, начальнику отдела физподготовки и спорта Грузсовета «Динамо», майору в/с Д. Рапава.

— С удовольствием отмечу, что цель соревнования — популяризация массовых служебно - прикладных видов спорта—выполнена, — начал Д. Рапава. На старт вышло около 60 спортсменов — больше, чем мы предполагали. Энтузиазмом были заряжены все — от спортсменов до их руководителей, болельщиков. Каждое очко, каждая секунда завоевывались ценой больших усилий. По накалу страстей эти соревнования не уступали и соревнованиям более высокого ранга.

Мы хотели определить сильнейших и в перетягивании каната. Но когда за него взялись дманисцы и болельщики, желание победить было столь велико и столько сил было этому отдано, что специально приспособленный для перетягивания канат не выдержал напряжения и сорвался с мест крепления.

Самое приятное впечатление осталось от спортсменов Дманисского РОВД. Они ровно выступили во всех видах программы, но результаты их стрельбы были блестящими. С полной ответственностью могу утверждать, что так в нашей республике никто не стреляет. Не исключено, что и в масштабах страны не найдется райотдел, способный победить дманисцев. Все это достигнуто не ценой какого-то исключительного подбора сотрудников, а целенаправленными, результативными тренировками, что под силу всем.

В 1983 году по результатам смотра - конкурса спортивно-массовой работы Дманисский РОВД занял первое место. Уверен, что свои позиции они сдавать не собираются.

**М. ХУЦИШВИЛИ.**

Тбилиси — Дманиси.



**ОТ РЕДАКЦИИ.** Соревнования, проведенные по инициативе Дманисского РОВД — это первый в нашей республике опыт организации массовых соревнований по территориальному принципу. Хотелось, чтобы и другие ГОРОВД подхватили инициативу дманисцев и тогда редакция газеты «Боевой страж» взялась бы за организацию финала с участием победителей зон.

**НА СНИМКЕ:** победитель в стрельбе М. Майсурадзе.

**РАССКАЗ**

# Неплохая заметка

**М. Ч. БЛЕКМАН,**

американский писатель.

Спокойно и терпеливо начал он растолковывать старику, в чем смысл залога. Наконец тот понял, что его сто долларов возвратятся к нему после слушания дела в суде.

— А остальные деньги сейчас мне вернете? — настороженно спросил задержанный.

— Да. Но вам лучше положить их в банк, чтобы вас не ограбили.

— Я собирался, но мы с хозяйкой только-только устроились, и я пока не успел выбрать надежный банк.

Старикан пришпилил мешочек с деньгами под рубаху и удалился. Репортер взглянул на часы.

— Скоро выпуск номера, — сказал он. — Потащусь, пожалуй, в редакцию.

— Постой, Чарли! — воскликнул сержант, проводив репортера до дверей. — На твоем месте я ничего не стал бы об этом писать.

— Отчего же? Выйдет неплохая заметка.

— Если напечатают твое сообщение, старика наверняка до утра обчистят!

И все-таки в последнем выпуске «Вечерней звезды» рассказ о забавном происшествии появился на первой странице под развернутым заголовком. Как репортер и предполагал, вышла действительно неплохая заметка. Он выжал что мог из своего материала, описав происшествие с беззлобным юмором.

— Ну, как тебе мой рассказец, сержант? — спросил наутро репортер. — Ведь неплохо?

— Да, — вяло согласился полицейский. — Ничего историйка. Но ты же обещал мне ее не печатать!

Репортер негромко рассмеялся.

— Я еще не видел утренних газет, но готов поставить доллар, что нашего деревенского друга прошлым вечером не обокрали.

— Его не обокрали...

— Так я и думал. — Чарли был весьма доволен собой. — Знаешь, я, когда шел отсюда, проследил за стариком и видел, как он сдавал в банк свои пять тысяч четыреста. А потом уже... Что такое? В чем дело, Стив?

— Надо было хоть упомянуть про вклад в банк в твоей заметке, — устало сказал сержант. — Генри Тукера убили перед его домом вчера вечером. В канаве мы нашли его чековую книжку.

(Окончание. Начало см. в № 20 от 26 мая 1984 г.)

**სარედაქციო კოლეგია**

**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025 გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხომარაულის 29. უე 09785